

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

პროექტი

დადგენილება №__

2023 წლის __ ივნისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84¹ და 84² მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N86 დადგენილება (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016255, 23/12/2014).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა:

განყოფილების უფროსი



ალექსანდრე დადუნაშვილი

შეთანხმებულია:

აპარატის უფროსი



გელა თათარაშვილი

განყოფილების უფროსი



მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე



მაკა ჭელიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟირების გავლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- წინამდებარე წესი განსაზღვრავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანია, უზრუნველყოს:
 - მაღალკვალიფიკაციური კადრების მომზადებისათვის, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავებისათვის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა;
 - სტაჟიორის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
 - კვალიფიკაციის ამაღლება საჯარო დაწესებულებისათვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად;
 - მაღალკვალიფიციური პერსონალის მომზადების გზით საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:
 - სტაჟირება – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობა;
 - სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სტაჟირებას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში;
 - სტაჟიორის კონკურსი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ წესის შესაბამისად, სტაჟიორის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსი;
 - სტაჟირების მსურველი პირი – პირი, რომელსაც სურს სტაჟირების გავლა ამ წესის შესაბამისად და წარდგენილი აქვს განცხადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სტაჟირების გავლის მიზნით;
 - ცნობა - დოკუმენტი, რომელიც გაიცემა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სტაჟირების შეწყვეტის ან დასრულების შემთხვევაში და ასახავს სტაჟიორის მიერ ფაქტობრივად გავლილი სტაჟირების ხანგრძლივობას ან/და ინფორმაციას სტაჟირების გავლის თაობაზე;
 - სტაჟიორის მენტორი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟიორისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხელს უწყობს სტაჟიორს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

მუხლი 3. სტაჟიორისათვის დადგენილი მოთხოვნები

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირებაზე მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მე-2 ან მე-3 საფეხურზე ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხური, ასევე არის პროფესიული სტუდენტი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.

მუხლი 4. სტაჟიორთა კვოტა და სტაჟირების ვადა

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს აპარატის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს.
2. სტაჟირების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.
3. სტაჟიორის სამუშაო პერიოდი განისაზღვრება დღის 10 სთ-დან 17 სთ-მდე.
4. სტაჟირების ვადა, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის, შესაძლებელია აისახოს სტუდენტის სასწავლო კრედიტების რაოდენობაში, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
5. ამ პროგრამის მიზნებისათვის, სტაჟირება ერთჯერადი ხასიათისაა, ტარდება სასწავლო/პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით და ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 5. სტაჟირების ვადა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ მაინც.

მუხლი 6. სტაჟირების გავლის წესი

1. საკრებულოს აპარატში სტაჟიორად პირი მიიღება კონკურსის წესით, რაც გულისხმობს სტაჟირების მსურველი პირებისგან საუკეთესოს შერჩევას განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კომპეტენციების ცოდნისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.
2. სტაჟიორის შესარჩევ კონკურსს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარის ან სამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში - ბიურო) მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. საკრებულო უფლებამოსილია, სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით განათავსოს საკრებულოს ან/და სხვა ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში.
3. სტაჟირების მსურველი პირი განაცხადს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. განაცხადის წარსადგენად პირს ეძლევა არანაკლებ 3, მაგრამ არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა.
4. სტაჟირების მსურველი პირის მიერ წარდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, რაც წარედგინება სტაჟირების მსურველი პირის შეფასებაზე უფლებამოსილ კომისია/პირს. სტაჟირების მსურველი პირის შეფასებაზე უფლებამოსილ კომისია/პირი სტაჟიორის კონკურსის შედეგების შესაბამისად შერჩეულ კანდიდატს, წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, წარუდგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.
5. სტაჟიორის კონკურსის შედეგები აისახება ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში, მისი დასრულებიდან (შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთი კვირის განმავლობაში.

მუხლი 7. სტაჟიორის უფლება-მოვალეობები

1. სტაჟიორს, სტაჟირების პერიოდში, ენიშნება სტაჟიორის მენტორი, რომელიც მას უწევს ზედამხედველობას, სამუშაო აღწერილობის ფარგლებში.
2. სტაჟიორს უფლება აქვს სტაჟიორის მენტორის თანხმობით:
 - ა) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესს;

- ბ) დაესწროს საკრებულოს სხდომებს და სხვა ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღოს მათ ტექნიკურ-ორგანიზაციულ უზრუნველყოფაში;
- გ) პირადი განცხადების საფუძველზე, მოითხოვოს სტაჟირების შეწყვეტა;
- დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებები.

3. სტაჟიორი ვალდებულია:

- ა) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება სტაჟიორის მენტორის მიერ და რომელიც გამომდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით, საკრებულოს აპარატის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან;
- ბ) დაიცვას საკრებულოს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, სტაჟირების თავისებურებათა გათვალისწინებით;
- გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება-მოვალეობები სტაჟიორის მიმართ

- ა) საკრებულო სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად;
- ბ) საკრებულო სტაჟიორს განუსაზღვრავს სტაჟიორის მენტორს;
- გ) აქტიური სტატუსის მქონე სტაჟიორი სტუდენტების შემთხვევაში, საკრებულო და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანხმდებიან სტაჟიორის საჯარო დაწესებულებაში ყოფნის გრაფიკის თაობაზე, სასწავლო პროცესთან სტაჟირების ინტეგრირების მიზნით.

მუხლი 9. სტაჟიორის მენტორის უფლება-მოვალეობები

სტაჟიორის მენტორის უფლება-მოვალეობებია:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კოორდინაცია გაუწიოს სტაჟიორთა ჯგუფს ან პერსონალურად, კონკრეტულ სტაჟიორს;
- ბ) გაუნაწილოს/განუსაზღვროს სტაჟიორს დავალებები, გააცნოს აღნიშნული დავალებების შესრულების სპეციფიკა, მნიშვნელობა, მოსალოდნელი შედეგები;
- გ) გაუწიოს მონიტორინგი სტაჟიორის მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს, უფლებამოსილია შეფასების წესის ან დასაბუთებული წერილობითი არგუმენტაციის საფუძველზე, შეაფასოს სტაჟიორის მიერ შესრულებული სამუშაო;
- დ) გაუზიაროს რეკომენდაციები/ინსტრუქციები, მისცეს უკუკავშირი და იზრუნოს სტაჟიორის პროფესიულ განვითარებაზე, საჭიროებისამებრ, ასევე მიაწოდოს თეორიული მასალა;
- ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 10. სტაჟირების შეჩერება

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სტაჟირების ვადის შეჩერება.
2. სტაჟირების გაგრძელება შესაძლებელია შეჩერებული ვადით, თუმცა არაუმეტეს სტაჟირების საერთო 12 თვიანი ვადისა.

მუხლი 11. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველები

1. სტაჟიორთან დადებული ხელშეკრულება წყდება:
 - ა) სტაჟიორის პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისას;

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;

დ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ და „თ“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას.

2. სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო გასცემს ცნობას, სადაც აისახება ფაქტობრივად გავლილი სტაჟირების პერიოდი და ჩაითვლება საერთო სტაჟში.

მუხლი 12. სტაჟირების დასრულება

1. სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდგომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო გასცემს ცნობას პირის მიერ სტაჟირების გავლის თაობაზე.

2. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის შესაძლებელია, სტაჟირება აისახოს სტუდენტის სასწავლო კრედიტების რაოდენობაში, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მომზადა:


განყოფილების უფროსი



ალექსანდრე დადუნაშვილი


შეთანხმებულია:

აპარატის უფროსი



გელა თათარაშვილი

განყოფილების უფროსი



მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე

მაკა ჭელიძე